

ერნესტ ჰემინგუეის „აღმოხდების მზისა (ფიესტა)“  
და ერიხ მარია რემარკის „ტრიუმფალური თაღის“ მთავარი  
პერსონაჟების შედარებითი ანალიზი ტრავმული  
ლიტერატურის ფონზე

მარი მაისურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის  
მაგისტრის*

*აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია,  
რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

## აბსტრაქტი

მე-20 საუკუნის მსოფლიო ომებმა და მათმა შედეგებმა განსაკუთრებით შეცვალა ტრავმირებულ ადამიანთა მსოფლმხედველობა და ფსიქიკა. ყველაზე დიდი სიმძაფრით ეს შედეგები წარმოჩინდა ახალგაზრდების ფიზიკურ და სულიერ პრობლემებში, კერძოდ რეალობის არაშესაბამის განჭვრეტასა და ცხოვრების ამოებაზე ფიქრში. ამ თაობას გერთრუდ სტაინმა დაკარგული თაობა უწოდა. არ დარჩენილა მსოფლიოს არცერთი ქვეყნის მწერალი, რომ თავისი ნაწარმოებებით არ გამოხმაურებოდა დაკარგული თაობის თემატიკას. მათ შორის მნიშვნელოვანია ერნესტ ჰემინგუეის „აღმოხდების მზე, ფიესტა“ და ერიხ მარია რემარკის „ტრიუმფალური თალი“. ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს სწორედ ამ ორი ნაწარმოების მთავარ პერსონაჟთა შედარებითი ანალიზი, ტრავმული ლიტერატურის ფონზე.

ამ ნაწარმოების მთავარი გმირები ჯეიკი და ექიმი რავიკი ომის შემდგომი პერიოდის ემიგრანტები არიან, თავისი ფიზიკური და სულიერი ტკივილებით, რომლებიც ყოველთვის ტოვებენ განმეორებად, ძნელადსამართავ შედეგებს. ისინი მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგებიან, განიცდიან აუტანელ მარტოობას. მიუხედავად მრავალი მარცხისა, გულისტკივილისა, ნაწარმოების გმირები ბრძოლას არ უშინდებიან. მართალია მათი წარსული ჯოჯოხეთია, მაგრამ მათში ცალსახად იკვეთება გადარჩენის სურვილი და იმედი, რომ ოცნება მათ აიძულებთ შეურიგდნენ რეალობას. ამის შესანიშნავი დასტურია ჰემინგუეის კრედოც : რომ მისი გმირები ნამდვილი მამაკაცები არიან და „ზეწოლას ღირსეულად უნდა გაუძლონ.“ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ახალი ნოვატორული ნაშრომების გამოჩენამ, კერძოდ ქეთი ქარუთის (Cathy Caruth) „გამოუსადეგარი გმოცდილება“ და შოშანა ფელმანის (Shoshana Felman) „იურიდიული უმეცრება: მე-20 საუკუნის სასამართლო და ტრავმა.“ შესაძლებლობა მომცა მათი დახმარებით ამეხსნა ომით გამოწვეული ტრავმული მოვლენების გავლენის არსი ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟების რაობაზე. ნათლად დაგვეჩინა, რა მოჰყვება ნგრევას, ადამიანთა ფიზიკურ და სულიერ განადგურებას. ავტორებმა, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ სოციალურ სამყაროში

ტრავმებს ააქვთ როგორც პოლიტიკური, ასევე ისტორიული და ეთნიკური განზომილება.

ყოველივე ამაზე დაყრდნობით შევეცადე განმეზოგადებინა ომისა და მისი შემდგომი პერიოდის გავლენა ადამიანთა მსოფლმხედველობასა და ფსიქიკაზე. დამეფიქსირებინა ჩემი პირადი განცდები და შეხედულებები ამ მოვლენებთან დაკავშირებით და ამაზე დაყრდნობით განმეხილა ნაწარმოების გმირთა საერთო და განსხვავებული თავისებურებანი.

## Abstract

The World Wars the 20<sup>th</sup> century and their consequences have greatly changed traumatic human psyche and ideology. The results are demonstrated in the greatest tension the physical and mental problems of the youth, namely in foreseeing reality sufficiently and thinking of the vanity of life. Ernest Hemingway called this generation “Lost Generation.” Writers all over the world respond to the issues of the Lost Generation. The most important works for me among them are “the Sun Also Rises” written by Ernest Hemingway and “Arch of Triumph” written by Erich Maria Remarque. The goal of my research is a comparative analysis of two main characters of these novels in the backgrounds of traumatic literature. These characters Jake and doctor Ravic, whose real name is Ludwig Fresenburg. They are post-war emigrants, with their own physical and spiritual pain, which causes repeated and uncontrolled results. They face number of challenges and suffer from unbearable loneliness. Despite many failures and disappointment, characters are not afraid of struggle. Although their past is like hell, they clearly demonstrate the desire and hope for survival. They are forced to reconcile themselves that dream will help them to put up with the reality. The perfect example of this is Hemingway’s credo that his characters are real men, who have dignity to withstand the pressure.

The emergence of innovative papers, in particular Cathy Caruth’s ‘Unclaimed Experience’ and Shoshana Felman’s ‘Juridical Unconscious’ helped me to explain the impact of war-related traumatic events, on the essence of the main characters, helped me to see consequences of destruction, physical and spiritual destruction of mankind clearly. Authors highlighted the fact that in the social world traumas have political, historical and ethnical dimension. Apart from the abovementioned, I tried to emphasis the impact of war and its aftermath on mankind’s ideology and psyche. I would like to present my personal point of view and feelings in respect of these events and discuss common and different features of the characters based on this review.